ამ ლექსის ტურქა სიყვარული-მცეიდრი ძმაა „პრი-მზისა“ და თითული იებისა: სამშობლოს გულ-ზე ამოსულ, ფურჩენილ ყვავილის სურნელება აქესი ქალაქელ ქართულ პოეზიაში კი ჩეენ ამგერ უნან-კო სიყვარულს ვერ ეხდავთ: იქ ბუნებას სიყვარულს ამ ბუნებისავან მოწყვეტილისა და პარი ცაულიშა-ციის საკრძალავ-ორანერებაში აღზრდილ-აფუფუნე-ბული ყვავილის სუნი აქეს ხოლმე. ვაჟას ენით კი თეთი ბუნება გველაპარაკება, ბუნება ალალ-მარტივი და წრფელ-საყვარელი, ბუნება შუშაბანდ—გადუხუ-რავი და თავისუფალ-სურნელოენი. და განა შეჩერებოდა ვაჟას ყველა ეს ცოცხალი ელ-ფერი და ბუ-ნებითი სურნელება, ბედს რომ ჩეენი პოეტი მისი სამშობლოს გულიდნ ამოცნებიტა და ჩეენი პარი ქართული ციილიზაციის უფერულ ქოთანში გად-მოერგო?—არა მგონია; და ამიტომ ვფიქრობ, რომ ვაჟა ისე თავისუფლათ ამოგვიყვავდა და გამოკვეცა-და ჩეენი მთიულეთიდან, როგორც უყავილი დედა-მიწის გულიდნ ამოგვიყვავდება და გამოგვეცადება ხოლ მე. ფშავერი ხალხის დუმილი—დედა-მიწის დუმილი; ამ დედა-მიწა ხალხმა არმოაცნა ვაჟას პოეზია და მით თავის გულში დამარხული, მდუმარე საიდუმლო მოგვითხრო.

ვაჟა-ფშაველას პროზაც ბუნების ნაზი სიყვარუ-ლით არის სასეს. მისი „შელას ნუკრის ნამშობი“ და „მთის წყარო“ **) ამ ბუნების შეენირებაში

*), „პასტრიონია“, გაზ. „ივერია“, № 29 და შემდ., 1892 წ.

**) გაუ-ფშაველა, „მოთხოვანია“, 1889 წ.

, „ამონაწები“ კალმით არიან დახატულნი. როგორც თავისი მცენრი შეიღის თავ-გადასავალს, ისე აკვი-წერს ვაჟა აბოლი შელის ნუკრის მწუხარე ბელ-ილბალს. საცოდავ პარი ცხოველს მოანდირის უწყალო ტყეიამ მოსტაცა მშობელი დედა და ობოლი ნუკრი წრფელ-მარტივათ მოგვითხრობს თავის მწუხარებას, თავის გზა-დაბნეულ და დაობლებულ ცხო-ერებას. შელის ნუკრს ახლა ვაჟა უწევს დედობას; პარი ცხოველის გულში პოეტის გული ბუდობს და მასთან ერთათ, ერთი სიყვარულითა და მწუხარებით, პევოქს და ცოცხლობს უზარ-მაზარი ლეგა ფრანე-ლი ზეციდან რომ გადმიგარდება საწყალი უწევი შეელის ჩასანთქმელათ, პოეტაც ნუკრსავით შიშის ზარი დაეცემა და მსახით განაბაეს სულსა და თავის დღეთა ალსასრულს მოელის. ამისთანა სიყვარულს მხა-ტრიობას უქახიან.

, „მთის წყაროშიაც“ პოეტის წმინდა, ცხოვე-ლი სიყვარული ჩუქუჩებს და საამო სიოს მოპევენს მყითხელის გულსა. აქაც ვაჟა განუშორებლათ და-ჰკროთის და თავს ევლება პარი მთის წყაროს. წრფე-ლის სიყვარულით გვინატავს წყაროს ბედნიერებას, სანამ ის მთის კალთაშია თავ-შეფარებული, იქ, სა-დაც „კარგი მეგობრები ჰევანან გვერდას. აი, ჯერ ის ლოდები, სქლათ მწვანე ხაესი რომ გადაჰკერია; აი, კიდევ წყაროს თავზე პირ-ყითელი კლდე რომ და-უყდებულა და დაცერების, ეხურება თავზე მწუხარა-დეით. ეს დევებივია ქორაუები როგორ აწყდილან ზეცათ და მზის სხივსაც არ უშეებენ წყარომდის, და სქელი, გველებით დაკლაკილი ფესვები მის უბე-კალთაში ჩაუწევიათ.“

აქ პოეტს უცრათ სევდა მოეფინება გულს. „მე ხომ ორისა თუ საბის ვერსის სიგძეზე ვარ მხო-ლოთ ბედნიერი და უცოდეველიო“, ნალელიანათ ჩი-ეის უშმნ კო მთის წყარო: „შერე დამლევს, ჩიმნთქას უზარ-მაზარი მდინარე, დაიკარებგა ჩემი სახელი, ჩე-მი ეინაობა. როგორც უნდა, ისე მათაშებს. თი-თონ ხომ ლრიალებს, ბორგას, აწყდება აქეთ იქით, ანგრეეს დედა-მიწას, გლეჯას ხებსა და მიათერეს; მეც იმასვე ჩამადენინებს, მაგრამ მაშინ ეე ის აღარა ვარ, რაც ახლა, ამ წარში, როცესაც პირელათ კლდი-დნ ვიბადები. ოჳ, ამ მდინარისავან გული მაქეს გა-ხეთქილი! რამდენჯერ აქ მესმის ხოლმე ხალხის ეი-ვილ-ხივილი: „დაარჩი წყალმა კაცი, უშველეო, ლმერთი არავისა გწმითო!“ ცოტა არ იყოს, მეც ბრალი მედება. ვაჟ, ჩემო თავო!“

მკითხველი ნათლათ ხედავს, რა ცოცხალი ბუ-ნების სურათების მხატვარია ვაჟა-ფშაველა-რაზიკაშე-ლი. ეს სურათები სამშობლოს სიყვარულის შეუქით არიან განათებულნი, პოეტის მთა-ტყან-ციუ-წყა-

როებიან დედა-სამშობლის სიყვარულითა, რომლის ძექტი „სუქდება“ ჩენი „უკლეილიანი“ ვაჟა და სანაც ეს სამშობლო ცოცხლობს, ვაჟას საკვები არ გამოელება, რადგან თეითონ ჩენი პოეტი გვეუბნება:—

„გავისო რძითა მთათ სუმუ,
„დაუშრობელათ რძიანით“.

სამშობლო ბუნების ლხინი და ზემინ-ვაჟას გულის ზემინა და მისი მწუხარება-ცვაჟას მწუხარებაა. ვაჟა რომ თავისი ფშავეთის ქედებს სალამის შესძებებს, ეს სალამი ღრმა-გრძნობიერი, აღტაცებული მთიულეთის შეილის სალამია, გულის სილრმიდნ აღმონადენი:—

„ოქენება გულობს ეს გული,
„შიგ გრძნობა უდუდს დეთანით!

ამ სალამში მთელი ვაჭას პოეზიის ხასიათია გამოსახული, პოეზია ბუნებრივ-ეროვნული, ბუნების ძლიერებითა და სიყვარულით სავს. განათლების შეილი ასე მარტივათ და ალალ-გულწრფელათ ვერ მიესალმებოდა მთებს, „თქვენი ჭირიმე, მთებიო“, თუმცა განათლებულ-ეკრობიული პოეზია ვაჭას პოეზიაზე ბევრათ უფრო მაღალი და მძლავრ-დიდებულია, რადგან იყი ადამიანის შეერთებული ფიქრისა და გრძნობის უკვდავი ნაშიბია, ვაჟა კი ცირიელი პოეტური გრძნობაა, გრძნობა მთების უბეზი აღზრდილი, გრძნობა ამ მთების კალთებისაგან განუშორებელი და თავისი ალალ-ბაეშური გულ-წრფელობით და მხატვრული, ხან მძლავრი და ხან ნაზი სიმარტივით მხიბლავი.

ამ მთებისაგან აღზრდილ-განვითარებულმა გრძნობამ გალუშალა პოეტს მშობელ-აღზრდელის გული, შიგ ჩატევინა და მისი სიიდუმლოები გააცნო და გუზიარა.

მაღლიერი შეილი, ვაჟა მაგიერს უზდის თავის მშობელ-მთებსა და, იმათვან „სუკაცლე-ზიარი“, თეითონაც თავისი გულის ცხოველ პოეზიას უზიარებს ამ მთებსა და ცოცხლათ დაგვიყენებს ხოლო თვალ წინ. აი როგორ აგვიწერს ვაჟა სალამი ქამის მთიულეთში:—

„დდექ დაიხურა ბირ ბაჯე,
„მთებამ დასუტეს თვალები.

და მკითხელი გრძნობს რომ ეს სურათი ძალა-დატანებული, ნაჭირები სურათი არ არის, რადგან ვაჟას მთელ შემოქმედობასთან არის შეფერბულ-შესამებული. მთები ცოცხლობენ პოეტის თვალ წინ და, მზე რომ ჩენა და დღეს პირ-ბადე ვადაეხურება, ისინიც აღმარნებასაეთი თვალებს ხუჭავნ და იძნებენ. ბუნების ნამდვილი მკედრეთით აღდევნა კი შემ-

დევი ლექსით მოახდინა ვაჟები: —

ნისლი-ფიქრია მთების, *)

იმათ ქაცობის გვირგვინი.

მიუგანს შეუდრევს მათ შეუზღვე

სშირის ბალასის ბიბინი,

ტრაის, თბლის ნაცას

გულის მგმიანგი სისინი,

არწივნი დაფარფაშობენ,

უფსკრულს აკლებენ თვალებსა,

მაღლილან ჩამოგხარიან

თავისეგან დასრულ ძვალებსა.

ლალი შვილება მთებისა

ერთმანეროს ეძრისებან...
• • • • •

ნისლი-ფიქრია მთებისო, გვამცნო პოეტი, და ამ რამდენიმე სიტყვით ბუნების ლრმა ფილოსოფია გადაეგოშალა თვალ წინ. მხოლოდ ბუნების შეისა, ბუნების ხორც-შესხმულ სიყვარულს შეექმნა ამ სიტყვების ასენარათ გმი თაქმა, ბუნების სულის განხსორციელება. დაკარილი ამ სიტყვების აზრს, ლრმა გრძნობისა და ბუნების წიალს შინა აღზრდილ სიყვარულის ნაშიბასა, და დამტეთანხმებით. როგორც ადგმიანის სულის სიღრმეში უხილავათ იბადება მისი ადგმიანური, სუუცნო და დაუსაბამო ფიქრი და დო-ალებულ გვირგვინათ დაედგომის მის მაღალ „კაცობას“, ისე უხილავათ ჩილება ბუნების სულის სიღრმეში მსუბუქი ნისლი და მაღალ „კაცობის“ გეირგინათ დაედგომის დედმიწის უმაღლეს მთებსა, ბუნების დიდებულ შეილთა. მთების ფიქრი — ნისლია, ნისლი ფიქრსაეთი მლელვარე და ფიქრსაეთი ეთერიან-ჰეროვანი, მასავით ბუნების უხილავ ძალა, ქეენი-ერების უკედავი სულის ნაშიბი. და განა შეექმნა რამდენიმე სიტყვით ყეველა ამის გამოთქმა იმას, ეინც ბუნებასთან არ არის თან-შეზრდილი სულითა და გულით, ეისაც ბუნების მძლავრი მაჯის ცემა, ბუნების მშობელი სულის მლელვარება არ გაუმხალა შემოქმედ-დაბადებელის ლრმა სიყვარულმა?!

თვალი გადაელეთ შენიერ მთან ბუნებასა, პოეტის წრფელი სიყვარულის სურათს: —

„მიუგანს შეუდრევს მთათ შეუზღვე

„სშირის ბალასის ბიბინი, —

ამბობს პოეტი ისეთი ლრმა-გრძნობიერი გულით, რომ იმავე ნამს ჩენც თავისი სიყვარულის

*) შეჲმა „ასტრონონი“.

მოზარეთა გვხდის. ჩვენც გვიყეარს, ჩვენც ეხედათ ჩვენი გრძნობის მხილებით მთის გულ-მკერდზე ხშირ მობიბინე ბალახს, ჩვენც გვესმის მთის უდაბურ მკერდზე, ტალის, ობლის ნიავის გულის მგმირავი სისინი^{۱)}. ესისაც მთების ბუნებას უნახავს და იცნობს, იმან კარგათ იცის, რომ მთებში ნიავი განსაკუთრებული ნიავა, ნიავი მართლა ტრალი და ობოლი, მთების უდაბურობაში გზა-დაბნეული და გულ-საკლავათ მოსისინე.

ახლა აჩწიეთ შეხედეთ, მთების დიდებულ შეილებას, ვაჟას მთიული ფარაზის სიმბოლოთ. რა „სიმით და სიხარით“ შეცყრებს ვაჟა იმათ მეფურსა და თავისუფალ ნაეარობას! აჩწიენი ვაჟას ლაღი თანამემამულენი არიან და, ჩვენი პოეტის ფარაზიასთან ერთად, თავის გულ-კლდოვან სამშობლოს თავს ეყლებიან და ზეცით „თავისგან დახრულ ძეალებს“ ჩამოჰქარიან.

ასე გვიხარეს მთიულეთს დეიძლი შეილი-პოეტი თავისი შეენიერი სამშობლო ბუნების საყარელ სურათს.

o. ნაკაშიერ.

(შემდეგი აქტება).

უ ს ზ ა ე თ ი დ ა ნ.

სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

II *)

ს კ ი დ ა.



ენ აქ მოეყენეთ რამდენიმე მუხლს სახალ-ხო სკოლის „დებულებიდან“ ¹⁾.

1) ყველა ბავში განუჩეველათ სქესისა და წილებისა 7 წლიდან 14 წლამდე გალჟელია სკოლაში იაროს. სკოლაში შესელის ნება აქვს 6 წლისასაც, თუ კი ფიზიკურათ საკმარისათ განვითარებულია. სკოლის დასრულებას შემდევ ბავშს შეუძლია ერთი წლისად კიდევ დარჩეს, თუ კი მოისურებს.

*) ის. „კალი“ № 46.

1) ას წიგნის სტუდი სათაურია: „Handbuch für den praktischen Schuldienst in der Evangelischen Volksschulen – Württembergs“. 1890 წ.

2) თუ ბავში გამოცდის დროს საქმიანის ცოდნას და განვითარებას ეკრ იჩენს, შეიძლება მისი სასწავლებელში დარჩენა მეორე წელიწადაც.

3) ბავშმ უნდა გაატაროს საწავლებელში კვა-რაში 30 საათი; პირელ ორ წელიწადს კი მხოლოდ 20 საათი. ამ წლიმდის სწავლება შეიძლება არა უმეტეს სამი საათისა შუადღემდის და ორი საათისა ნაშუადღეს; ამ წლის შემდეგ არა უმეტეს 4 საათისა შუადღემდის და სამი საათისა ნაშუადღეს.

4) 10—14 წლის ბავშების სწავლება 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე ეკრ დაიწყება დილით 6 საათამდის და 7—10 წლიანთათვეის დილის 7 საათამდის. ამ უკანასკნელებს საზოგადოთ სწავლა ეწყებათ ზაფხულში 8 საათზე, ზამთარში კი 9 საათზე (აგრეთვე იმათაც, ეკრ შორს დგანან).

5) თუ ბავში თავის სოფელს მოცილდა და გერმანიის სხეა აღიღილ გადაეიდა, იქაური აღგიღობრიეთ მთერობა იძულებულ ყოფს მას სკოლაში იაროს და ანასრულოს სკოლის მოვალეობა, როგორც პირელ—დაწყებითისა, აგრეთვე საკეთოა და სხეა გვარი სასწავლებლისა.

6) იმ ბავშებს, რომელნც სამუშაოთ დაიღან, სწავლის დრო არ შეუმოკლდებათ; ხოლო თუ მშობლები ღრაიბინი არიან და ოჯახის გამოსაკვებათ აუცილებლათ ბავშებმაც უნდა იმუშაონ, იმ შემთხვევაში ზაფხულობით სწავლის დრო შეუმოკლდებათ და მეტი თავისუფალი დრო მიეცემათ. ზამთრობით ასეთი შედაგათი აკრძალულია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ბავში 12 წლისაა, და 5 წლი სკოლაში უკეთ გაუტარებია და სწავლაშიაც ყოჩაონა. თუ ასეთ შედეგათს ნახევარზე მეტი თხოულობა, მაშინ საზოგადოების ხარჯით ზამთარში განსაკუთრებით, ზედ მეტი გაკეთილები უნდა გაისანას, რომ ზაფხულში მოცდენილი სწავლა შეისრულონ.

7) ბავშის სავაჭროთ ან სახელოსნო მიზნით სოფელ-სოფელ თან-ტარება აკრძალულია. ეს შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ნება დართულ იქმნას აღგიღობრიეთ სკოლის ინსპექტორის მიერ.

8) ბავშის ფაბრიკაში მუშაობა 12 წლამდის სრულიად აკრძალულია. 12—14 წლისას შეუძლია დღეში მხოლოდ 6 საათი იმუშაოს, 14—16 წლისას კი 10 საათი. ფაბრიკაში მუშაობის ნება აქვს მშობლით იმ შემთხვევაში, თუ ის სკოლაში სამ საათს მაინც სწავლობს.

ფაბრიკაში ბავშების სამუშაოთ აყენა აკრძალულია, თუ მათ არ წარმოადგინეს პოლიციის მიერ დამწერებული მოწმობა, სადაც აღნიშნულია მშობლების ნება-ჩრთა, ბავშის სახელი და გვარი, წლიანება და სხვ. (Arbeitskarte).

ბაეშების დამტერავებელმა პირელით აღვილობა-
რივ პოლიციას უნდა მიმართას განტხაფებით, სა-
დაც დაწერილებით ანუსხულია მუშაობის დრო: და-
წყება, გათავება, დასეცენება და სხვ.

13) ურუ-მუნჯ და ბრძან უნდა მიეცეს შესა
ფერი სწავლა.

14) თუ ბაეში ფიზიკური ან ზეობრივი ნაკ-
ლულევანების მიზრზათ სკოლიდან დათხოვნილ იქმ-
ნა გძელი გადით, მშობლები ვალდებული არიან
კერძო გაცემალების საშუალებათ სწავლება განა-
გრძინობინონ; ამისათვის საზოგადოების თანხიდან
შემწეობა ეძლევათ.

15) თუ თავის სოფელში (ან ქალაქში) არ მო-
პოვება თავისი საჩრდინოების სკოლა (ეფანგლიუ-
რი), მშობლებს ნება აქეთ აღვილობრივ სასწავლე-
ბელში შეიღო მისცემ, ხოლო ასეთი ნება არა აქეთ
მაშინ, თუ თავისი კონფესიის სკოლა სახლიდან
ერთი საათის საეალზე იმყოფება; მეორი უთუათ ე-
უნდა ატარონ, თუ კი ბაეშის ჯან-ზრთელობა, მას
სიარულის ნებას აძლევს. თუ ასეთ მდგომარეობაში
60 კომლია, სკუთარი სკოლა უნდა გახსნან.

133) მოელი წლის განმაელობაში შეძლება
სკოლაში სწავლა მოაცინონ არა უმეტეს 45 საქ-
მის დღისა; ამას მიემატება უქმი და დღესასწაული
დღეებიც.

134) სწავლის არა ჩეეულ ებრივი შეწყვეტა შე-
ძლება: როცა დღის 9—10 საათზე ჩრდილში რეო-
მიურის ტერმომეტრი 20 გრადუს სიცეს აჩვენებს,
როცა სოფელში რამდე სენი მძეონერებს, როცა
მასწავლებელს სურს მასწავლებელთა რომელიმე ჭრ-
ბას დაესწროს—რისთვისაც მაზრის ინსპექტორის ნე-
ბა-რთვა საჭირო, როცა სოფელში რეასტრაგის დე-
პუტატის არჩევა, (მასწავლებელმა იქმი უნ-
და შეადგინოს), როცა მასწავლებელი მომლერალთა
წრის წევრია და სურს ვიურტემბერგის მომლერალთა
საერთო ყრილობა—დღესასწაულს დაესწროს, რო-
ცა მას სურს აგრეთვე ვიურტემბერგის (პროტესტო-
თა) საეკლესიო მომლერალთა კრებას დაესწროს.

ეს უკანასკნელი ორი მუხლი, რასაკვირველია,
ყოველგან ერთნაირათ არ სრულდება. ეს დამოკიდე-
ბულია აღვილობრივ პირობებისაგან. სახელობრი:
როდის რის მუშაობაა; იქ სადაც პურს მუშაობენ
კანიკულებიც სხვა დროს უნდა იყოს, ვინემ იქ სა-
დაც ბალონს თიბერ ან და ხე-ტუეს აწრმოებენ, აი
მაგ., დობელის სკოლა როდის იხურება: 22 ივნისი-
დან 13 ივნისამდის (ბალაზის თიბერა); 1—8 სექტემ-
ბრისმდის (ბალაზის მეორეთ თიბერა); 3—27 ოქტომბ-
რისმდის, 24—30 დეკემბრამდის (შობა) —სულ 50 დღე.

ამას მიემატება კვირა-უქმე და სხვა-და-სხვა დღე-
სასწაული დღეები, ასე რომ წელიწადში სწავლის
დღე აჩება 225.

ყოველწლიური განსაკუთრებითი ცელილება, სა-
სწავლებლის ასე თუ ისე დაუყენება და წაყვანა უწი-
ნარეს ყოველისა სკოლის აღვილობრივი გამჭეობის
ხელშია. ასეთი გამგება ორ ნაირია: „მასწავლებელ-
თა კონვენტი“ (Lehrerkonvent) და „სკოლის აღ-
ვილობრივი გამგება“ (Ortschulbehörde). პრეფე-
რენი შესდგება სკოლის მასწავლებლებსაგან (თუ სასწავ-
ლებელი ორ და მეტ კლასიანია), რომელიც ყო-
ველ სამ თევზი ერთათ შეიყრებიან, აღვილობრივი
ლელლის თავმჯდომარეობით, და სჯარ სხვა-და-სხვა
სასკოლო კ-თხების შესახებ. მათ უფლებაში შედგა
გაცემილებ-ს გეგმის შედგენა, სასწავლო წიეთხის
შეძენა, სკოლის დისკიპლინა, სწავლების გაუმჯო-
ბესობა, ანალ ცელილებათა შემოღება და უმაღ-
ლეს მთავრობასთან ამის შესახებ მოხსენების წარდ-
გენა და სხვ. საქმის გადაწყვეტა ხმის უმტესობის-
თაა. ერთი სიტყვით, ამათ ექვემდებარება ყველა კით-
ხა, რომელიც კი პირდაპირ სწავლების საგანს ეცე-
ბა. უმაღლესი მთავრობის განკარგულება მათ მიერ
იცვლება ისე, როგორც აღვილობრივი პირობები
მოითხოვს, რის შესახებ მოხსენება იგზავნება, სადაც
ჯერ არა.

აღვილობრივი ეკლესიის მღვდელი არის იმავე
დროს აღვილობრივი სკოლის ინსპექტორი (ortsse-
hulinspektor). მას ამისთვის განსაკუთრებითი სას-
ყვდელი არ ეძლევა. აქ ღვდლობა იმავე დროს მა-
სწავლებლობასაც ნიშნავს. ხალხს უქაღავებს კლე-
სიში და ბაეშებს ასწავლის სკოლაში. ყველა მღვდე-
ლი უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში კურს და-
სრულებული (უნივერსიტეტის სალვისმეტუელი
ფაკულტეტებ) და პედაგოგიური ცოდნით აღჭურვი-
ლი. სკოლის სარევიზიოთ, როგორც ინსპექტორი,
სასწავლებელში წელიწადში რაჯელ შედის, ხალხ
ისე, დასხედავათ, ყოველ კეირაში რაჯელ.

საზღვარგარეთელი.

(უმდეგი იქნება)



ისმალური ზღაპარი.

(ფრანგულიდან)

დასასრული *)



იდი ვეზირი იბრაჰიმი განცხრომში ბძანდებიდა თავის შევნიერ სასახლეში, რომლის წინ მდებარე ბაღი ზღვამდის წედებიდა. იგი გადაწოლილი იყო დორებზე და თეთრი, ფაფუკი ხელებით ათამაშებდა ქარეს კრალოსანს; ცოტა მოშორებით იდგა მაყალი და მისი სუნელოვანი კვამდი სასიმოვნო ჰაერით აესებდა ოთახს

უცემ გალიტია კარგზე ჩამოგარებული მძიმე ხალია და გამოჩნდა აღი ფაშა.

იბრაჰიმმა რომ დაინახა ის, ეინც ეგულებოდა, თუ არ სამუდამოთ, დიდი ხნობით მაინც ციხეში და მწყედებული, იგრძნო რომ მას კარგი არა მავლა-და-რა.

— არ მნდა შეკიშუოთო შენი უკანასკნელი წუთები, თქეა ციინებით აღიმ და კარგბშეე შეჩერდა.

იბრაჰიმმა კარგა გაიგო იმ სიტყვების მნიშვნელობა, ის, ეინც ასე მძიმე თავის დაკრით, გამოეცადა ამას იქნებოდა სიკვდილის განაჩენის გამომცხადებელი და კალთის ქვეშ უსათუო შენასული ექნებოდა წითელი აძრეშების ზონაზი, რომლითაც ჩეულებრივ სულთანი ასამართლებდა, თავის კარის კაცებს. მაგრამ იბრაჰიმმა წარბიც არ შეიკრა, მხოლოდ მისი უკანასული თვალები, რომელთაც კაცი თვალს ერ გაუსწიობდა, ბრჭყალნაელნ მეტა სიცხველით, მან გადისეა თავისი თეთრი ხელები გრძელ წევრზე და დაშეიიცხით წამოიქახა:

— ალათ ალლახმა აგრე ინება! მ-ს ბძანებას ერ წაუეალთ; ჩენ მისი ფეხთა მტევრი ეართ, ასრულდეს მისი ბძანება. მხოლოდ ერთ წაში დამაცავ, ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნა, მინდა ნამაზი გადაეხადო და ეილოცა. ეიც შენ კაი მუსულმანი ხარ და ჩემ თხოვნას ასისრულებდ. მაჲმადი თითონ ბძანებს, რომ მომაკვდავს უკანასკნელი სურეილი უნდა აუსრულოთო.

— ბოლიშა ეიხდი თქევნთან დიდებულო ვეზირო, უპასუხა გადაჭრით აღიმ,— მე თქევნ უმალესი ბძანება გადმოვეცით და ნება არა მაქს თვალი მოგაშოროთ. არც მოსახერხებელია თქევნი აქედან გასვლა. გადიხედეთ ამ ფანჯრიდან, ათას კაცზე მეტი გიდარაჯებთ თქევნ. დაუგდეთ ყური, არ

გესმით მათი იახალის ჩხარა-ჩხური. ისინი სულთანის გამოგზავნილი არიან, თქევნი დარბაზი და დერევნები გაესტეულია იმათვან. ტყუილა, თავს ერ უშელი, ვერ გაიქცევი.

— მე სულაც არ ვეიქრობ გაქცევაზე, მაგრამ საშინელებაა, რომ სიყდალის წინეთ, კაცი არ გამაესალმოს თავის საყვანელ ცოლ-შეიღს. ნუ გეშინა აღი, დიდ ხანს არ მოგაცდევინებ, დაბძანდი ცოტა ხანს.

იბრაჰიმმა სამჯერ ტაში შემოკერა. ზანგის ორი მინა გამოჩნდა. მათი შევი პირისახე ზეშისაგან უფრო ჩამავებულიყო. მათ შემოიტანეს ნამაზისთვის საჭირო: ტაშტი, წყალი და ფეხ-ქექშ გასაშლელი ხალიჩა.

იბრაჰიმმა დამშეიდებით აიწია ხალათის კალთები და შევულვა ნამაზს. ეინც დაიჯერებდა, რომ არა-დენსამე წარს შემდეგ, ამ კაცის თეთრ ჩასუქებულ ყელს საშინელი ზონაზი მოექირებოდა დასახრებათ. ამ დროს, ნიშანათ საღმო ქამის მოახლოებისა, მეჩეთის თავზე მოღამ დასძახა თავის მოსაწყინარა ხმით ჩევულებრივი ლოცვა.

ლოცვის დროს იბრაჰიმმა თავი ჩაღუნა. ალის საჩქაროთ კალთის ქეეშიდან ამოიღო წითელი აბჩე-შემის ზონაზი და სწრაფათ ჩაუდო ხელში ერთ ზანგს.

ზანგმა თავი დახარა: ახსნა საჭირო არ იყო, მან უყელაუერი გაიგო. უშიშარი მეომარი ალი-ფაშა მთლათ ცახცახებდა, როდესაც ალევედა სასიკედილო ზონაზის, რომელიც, მხოლოდ მაშინ დაუბრუნდებოდა, როცა მცველას მოხსნიდენ ყელიდან. ამას ათასობით მეომარი უნახას წაქცეული ბრძოლის ეელზე, მაგრამ წარბიც არ შეუხრია, ახლა კი საშინალო დელავდა, რომ წარმოიდგენდა ამ მხარ ბეჭიან, წამოსადე ვაჟკაცს, რომელიც რამდენიმე წუთს შემდეგ უსულო გვამათ გადიქცევდა. რა საშინელება ყოფილა ჯალათაზე ხელობა!

* * *

ალი ფაშა სხევა-და-სხევა ფიქრებმა გაიტაცეს. ამ დროს იბრაჰიმმა გაათავა ნამაზი და გასწია ნელი ნაბიჯით დაუენილ ხალიჩაზე სალოცავათ. თავი ამპარ-ტავნულათ მაღლა ეჭირა. ეჭირმა ხელები მაღლა აღაყრო, მკლავები უსრულებზე მიიღარა, რომ უფრო სასობით მისუმოდა ლოცვას. მხურვალე ლოცვას ისე შეეპყრო იყო, რომ თითქო ამ ქვეყანას აღარ ეკუთხოდა და წარმოადგენდა რაღაც უსულო ქმილებას, მხოლოდ მისი შევი თვალები გამოიყურებოდენ უფრო ცხოვლათ და უცნაურათ ბრჭყალი გაქონდათ, ამ საღმო ქამით დაბნელებულ რთაში. იბრაჰიმმის თვალები ძალზე დაშტერებოდენ ალი-

ფაშას. კელავ გულადი მეომარი კი შემკრთალი და შეწუხებული ერ მიმხედარიყო თუ ეს სასიცელილოთ დასჯილი რატომ ისე არ ლოცულობდა, როგორც ჩეცულებრივ ყველა მუსულმანი. ან რატომ პირი მექ-ქასკენ არა აქეს, როგორც გეიძანებს ყორან!

— ნერავ ეს თვალები, რომლებიც ამ სიბნელე-ში ისე ბრჭყენავენ, როგორც გალესილი მახეილის პირი, საკუთრივ მე რათ დამტკრებებან.

საბრალო ფაშა, დიდ ხანს არ მოუნდა ამ საი-დუმლო გამოცანის ახსნას. იგი ცოტ-ცოტათ ჩაერ-და რაღაც „უცნაურ—გაუვებარ“ სასიმოენო მდგომა-რეობაში. „გრძნობდა, რომ მისი გონება, მისი სხეული თითქო შორდებოდა დედა-მიწას და მაღლა ზეცისკენ მიდიოდა. შევნირი სუნნელოენი პატი იტაცებდა მაღ-ლა; სხეული მიუყუჩდა, გახდა უგრძნობელი; ნელ-ნელა თვალები დარცუჭა და თავი ჩაპეინდრა. იქვე ტახტზე ჩამოვჯდა, მიღო თავი მუთაქაზე და დაიძინა.

იბრაჰიმი ისევ ისე სალოცავთ იდგა და კა-ლევ დიდ ხანს თავის შემაშფოთებელს და შემაძრწუ-ნებელს თვალს არ აშორებდა მძინარე ფაშას. ბო-ლოს იბრაჰიმი წმოდგა ფეხზე და მიუახლოედა სულ-თანის გამოგზანილს: გაუშინჯა თვალის კილოები კაკლები და ნახა რომ იყინი უძრავი იყვენ, რო-გორც კედლის თვალები.

— ძინაეს! წამოიძახა დიდმა ეჭირჩა სიხარუ-ლით და ალტაცებით, მერე მიუჯდა გვერდით თავის მსხევრაპლს და თვალ-მოუშორებლივ დაიწერ ხმა-მაღლა მოთხოვდა შემდევ ამბისა: სიტყვებს ნელ-ნე-ლა მკაფიოთ ამბობდა, თითქოს უნდოდა აღებეჭდა მშენელის გონებაში ყველა თავისი სიტყვები.

— „როდესაც მე იმას გამოუტავდე შემაძრწუ-ნებელი ამბაეი, ჯერ ნამაზი გააკეთა, მერე დიდ ხანს ლოცულობდა; პირი მექქასაკენ ჰქონდა. ლოცვა რომ გაათავა ჩამოვჯდა ტახტზე, გამოართვა ზონარი ზანგს, თითონევე შემოიხეია კისერზე, გამონასკეა, ერთი კი-დევ უკანასკნელით გადმომხედა და გულ-ხელი და-იქრიფა, მერე ანიშნა თავის ზანგებს, იმათაც ერთმა ერთ მხარეს გასწია, რაც ღონებენ ჰქონდა, ზონარი, მეო-რემ მეორე მხარეს და საშინელი სანახაობა წარმო-მიდგა თვალ-წინ. ვეზირს სახე აუშუპდა, გაუწიოთლ-და, გაულურჯდა, თვალები გადმოუცვინდა და მაინც არ მაშორებდა თვალს. ჩაშევებული ენა გადმოავლო; ზანგები უფრო და უფრო ეწეოდენ თავიანთკენ ზო-

ნარს. სულის თითქოს არ უნდოდა დედა-მიწას მო-შორებოდა. ზონარი ჩაჭეროდა საბრალოს ყელში და უშლიდა სულის ამოსვლას; ერთი საშინლათ დაიკ-ლაკა, უკანასკნელათ შეიფართხალა, თავი უკან გა-დაგდა, ხელები უძრავათ დაუშეა... გათავდა... ერთ-მა ზანგმა მოხსნა ზონარი. საშინელი შავი ზოლი ჰქონდა დაჩნეული თეთრ კისერზე! მეყდას წააფა-რეს ზემოდან ფარავა... შენი ბძანება ასრულდა დი-დებულო სულთანი!“

იბრაჰიმმა გაათავა ამბაეი, ვაწვა ძირს, ტახტის წინ, ერთმა ზანგში წააფარა ფარავა, მერე მიუახლოვდა ალი-ფაშას და სახეში ორჯელ შეუბრეა.

ალი-ფაშა მაშინვე წამოდგა ფეხზე, მოიფშენი-ტა თვალები, მიიხედ-მოიხედა თითქო საშინელ სიზ-მარშიაო. ზანგმა მძიმე თავის დაკრით მიართვა ა-რეშუმის წითელი ზონარი. ამან გამოატაბილა სულ-თანის გამოგზანილი ჯალათი. თუმცა ზიზლით, ზანგს მანც გამოართვა წითელი ზონარი და საჩქაროთ ქა-მარში ჩაირკვა, ერთი შეხედა ფარავას ქვეშ გაშო-ტილ გაამს, რომელიც ჯერ კიდევ ინძრეოდა და საჩქაროთ კარებისკენ გაეშურა.

— უკაცრავათ დიდებულო, მოითმინეთ. — თქვა ზანგმა და სტაცა ხელი კალთაში, — იქნება გნებავ-დეთ მისი ნახვა?

— არასოდეს, შე უბედურო! — უთხრა შიშით ალი-ფაშამ, — მეორი ძილი სამუდამოთ დაშეკარგოს!

მაშინვე გავიდა და ბძანება გასცა, რომ დარ-ჯები მოშორებოდნ იბრაჰიმის სასახლეს: — მეყდას რაღა დარაჯობა უნდოო, თქეა მან, შეჯდა ცხენზე და პირ-და-პირ წაეიდა სულთანის სასახლეში.

— ალალაშმა აპატიოს! — წამოიძახა დამშეიღე-ბით იმავ სალომოს მოღუშულმა სულთანმა, როდე-საც მისმა ერთგულმა ალი-ფაშამ უამბო დიდ ვეზირ იბრაჰიმის სიკედილი.

— მაშ შენ ამბობ, რამ უკანასკნელ წამებში იმან დიდი ტანჯევა გამოიარა?

— საშინელი, თქვენო უღიდებულებობაე, უპა-სუხა ალიმ, — იტყოდით, იმ დაწყევლილს ერთის მა-გიერ შეიდი სული უდგიაო. მე თქვენი მორჩილი უმა და მონა გახლავართ, სულთანო, ასჯერ რომ დაგჭირდეთ, ასჯერეუ შემოგზირავთ თავს, ბძანეთ ერთი სიტყვა და ათას მეომარს შევებრძოლები და ათი ათას თოფ-ზარბაზანს არ მოვერიდები, მაგრამ

გეელრები, კელა ნუდარ მომანლობ მაგ გვარ საქ-
შეს.

— დამშეიდღი, ჩემო მამაცო ალი, შენ თხოვ-
ნას შეესარტოლი. — შენ ჩემი ერთკული მსახური ხარ
და იმიტომ მოგანდე მაგისთანა მძიმე საქმე. ვინ იცის
სხვას ხელიდან გასხლომოდა. ის გაიძვერა კაცი.
ჩერენში დარჩეს, საშინელი ცულლური რამ იყო. ალ-
ლახმა შეუნდოს მას შეცოდებანი. — დამთავრა ლრმა
ამოახერით სულთანმა.

* * *

ღამე კარგა გასული იყო, მთეაჩე ამოფარა
მთებს და მიდობო ჩამობნელდა. ამ დროს ბოსორჩე
მალევთ, გაქარებით მატურავდა აურებ გაშლილი
პატარა გვერდი. მის ბანზე იჯდა ლილ ეჭირათ ნამყო-
ფი იბრაჟიმი, გარშემორტყმული ცულებით და ურიცხ-
ვი შეილებით.

— ერთ მითხარ, კალილი, უთხა იბრაჟიმია
თვის ერთ-ერთ მიახუც შპლებედას, — დიდი სისულე-
ლე არ იქნებოდა ჩემგან, რომ ხუთასი ქისა ფულის-
თვის მომკედარებია. დღესაც კადევ დაკაწმუნდი,
რომ ძალიან კარგა ზოგაქეცი, რომ შენ გიყილე კაირ-
ში. შენ მაწაველ ეგვიპტელ დედაკაცების საიდუმ-
ლო, რომ დაშტერებით შეიძლება კაცმა დაძინოს,
ალი ფაშასავით, ვინმები და მიაყეჩის თვისი სეი-
ნიდისი. ამის შესწავლა არც აგრე ძნელია, მიკეირს
მხოლოთ რომ ასე ცოტა ვინმე ხმარობს ამ ძირ-
ფას საშუალებას. საბრალო ალის დიდრონი მხეცური
თვალების მიძინება სწორეთ თამაშობათ მიმართა.

ურიგო არ იქნება შემეტყო, დაუმატა იბრაჟიმია, — რა
სასჯელს მიაყენებს მისი უდიდებულესობა, როდესაც
სხალ მოინდომებენ ჩემ დამარხეს და ნახევნ როგორ
მოვატყუ. საბრალო ალი! ეგ რომ აგრეთი
ერთგული არა ყოფილიყო სულთანისა იმასაც წა-
მოვიყენდი ჩემთან. რასაკერძელია, დიდი ეკატერი-
ნე მაგასაც მისცემდა პოლყოვნიკობას, როგორც მე
მომცემს ღენერლობას. იგი დიდის სიამოენებით მი-
იღებს იმისთანა თათრებს, როგორიც მე გარ, რო-
მელმაც იცის სათათრეთის ყველა კუნძული. დაიმე-
დებული იბრაჟიმი გადაწვა ტახტზე და მიეცა ტკბილ
ძილს".

— აბა, ძმაო, თქვა ჰამედ-ფაშამ დასრულა თუ
არა ამბავი: — ახლაც იტყვით, რომ გიანოტიზმი, კა-
ცის ჩაგონება, თქვენი, პარიქელების, მოგონება?

ან. თ.წ.—იას.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერვალის.

განცხადება

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 13 ნოემბერს 1896 წ.

ქართული დრამატული საზოგადოების დასისაგან
საფაროები-აბაშიძისა და აბაშიძის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:

I

პერიოდი დღე

ქოდია 4 მოქმედ. თარგ. კ. ბაშიძის.

II

მუსიკი ელენე მარიამელი

ქარსი 2 მოქ. გად. ცაგარდისა

მონაწილეობას მიღებენ: ქ.ქ. საფაროები-აბაშიძისა,
ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, ივა-
ნიძისა და სხვ. ბ.ბ. აბაშიძე, სეიმონიძე, გამყრელი-
ძე, გედეგანოვი, შათირიშვილი, კანდელაჭი, ადამი-
ძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩეელებრივია

დასაწყისი 8 ლარზე

რეგისტრი. კ. ს. ადექსიუს-მესხიშვილი.

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

— — — — —

შინაგანი: ჩემი გულ-გრილობა. — სხვა-და-სხვა ამ-
ბავი. — რესორსის შინაგანი ქრონიკა ფ. მ—სა. — „გალაზ“
კორეპონდენციები. — ლერთო შეგოდე, ღევე ბ. დავთაშვი-
ლისა. — ვაჟ-ფაველა პოეზია, (უმდევი) ი. ნაკშიძე. სა. — უ-
სოფიალა: სიფელი და სასოფლო სკოლა გერმანიშვილი, (უმდე-
ვი) საზღარგარეთელისა. — იმამური ზღაპარი, (დასასრული)
ა. წ—ისა და განცხადება.